



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

22/04/2016

N 38/ო

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის №22/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის №22/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შინაგანაწესის 7² მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შვებულების მოთხოვნის შესახებ განცხადება, სამინისტროში მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსთან და კურატორ მინისტრის მოადგილესთან (არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით (ვიზირებით) წარედგინება მინისტრს საშვებულებო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 4 (ოთხი) კალენდარული დღით ადრე.“.

2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ ბრძანების სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ნოდარ ჯავახიშვილი

მინისტრი